ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის აგვისტოს 1	№ 19 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 139. სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის სრულიად საკავშირო საბჭოს დებულების გამოცემასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

140. ა/კსფსრ სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობის საორგანიზაციო ფორმების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

141. საგაზაფხულო თესვის ჩატარებისათვის სასოფლო საბჭოების მიერ წარმოებული მუშაობის შემოწმების შედეგებისა და მათივე შემდგომი ამოცანების შესახებ.

142. ა/კსფსრ სამრეწველო ქალაქების საბჭოების სექციებში სპეციალური სასტანდარტიზაციო ჯგუფების მოწყობის შესახებ.

143. ა/კსფსრ-ის მებამბეობისა და საცდელი საქმის განვითარების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მებამბეობის სწავლული აგრონომის ამხ. პავლე პავლეს-ძე მედვედევის ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებისა და სიკვდილამდე პერსონალური პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

144. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის რეორგანიზაციისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

145. ამიერკავკასიის მეცხვარეობის ტრესტის რეორგანიზაციის შესახებ.

146. სოციალისტური მიწათმოქმედების დაფინანსების ბანკის ამიერკავკასიის კონტორის მოწყობის შესახებ.

147. სასოფლო-სამეურნეო მომხლვლევი მრეწველობის სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ.

148. ა/კსფსრ-ში მებამბეობის ორგანიზაციების რეორგანიზაციის შესახებ.

149. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1932 წ. ოქტომბერში კომუნალურ საწარმოთა და საქალაქო კეთილმოწყობის აღწერის ჩატარების შესახებ.

150. სამუშაო ხელფასის ფონდების აღნუსხვისა და დაგეგმვის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

139. სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის სრულიად საკავშირო საბჭოს დებულების გამოცემასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის საქმეთა სრულიად საკავშირო საბჭოს დებულების გამოცემასთან დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 3. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ექვემდებარება-რა უშუალოდ ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს,—ანხორციელებს თავისი მოქმედებით როგორც ამ ორგანოებისა, ისე აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის სრულიად საკავშირო საბჭოს დადგენილებებს და დირექტივებს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივნისის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

140. ა/კსფსრ სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობის საორგანიზაციო ფორმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 134)—მოწყობილ იქნეს სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველო.

2. სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) დაეკისროს მთლად ა/კსფსრ სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის დაგეგმვა და მოწესრიგება და აგრეთვე ბზიბის სატყეო კომბინატის და ინგურის ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობისა, ტფილისის სატყეო-სატექნიკო ინსტიტუტისა, სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა, ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებული სატყეო ტექნიკუმებისა და სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტყე-მარაგ-გასაღების შენაერთის ამიერკავკასიის განყოფილების ხელმძღვანელობა.

3. სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სკს-თან) სისტემაში მოქცეულ იქნეს შემდეგი საკავშირო მნიშვნელობის სატყეო-სამრეწველო ტრესტები: საქართველოს სატყეო ტრესტი, აფხაზეთის სატყეო ტრესტი, აზერბაიჯანის სატყეო ტრესტი და სომხეთის სატყეო ტრესტი, რომელნიც ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევენ ტრესტირებულ სატყეო მრეწველობას და აწარმოებენ სათანადო რესპუბლიკის სატყეო მეურნეობას, და დაეკისროს სატყეო ტრესტების მმართველებს აგრეთვე სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) რწმუნებულების (სათანადო რესპუბლიკების სკს-თან) ფუნქციები.

სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის უკვე არსებული და ახლად მოწყობილი სადარგო შენაერთები ანხორციელებენ თავიანთ ხელმძღვანელობას სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანური რწმუნებულებისა და ტრესტების მიმართ სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მეშვეობით—სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1932 წ. მაისის 7-ის თარიღისა და 76 №-ის დადგენილების შესაბამისად.

4. რესპუბლიკანურ რწმუნებულებს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისას (ა/კსფსრ-ში) დაეკისროს უწყებული რესპუბლიკის მთელი სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის (ტრესტირებული, ადგილობრივი, კოოპერატიული, რკინის გზის და სხვ.) დაგეგმვისა, მოწესრიგებისა და კონტროლის ფუნქციები, ხოლო ტრესტირებული მრეწველობისა და მეურნეობის ხაზით—აგრეთვე დაფინანსებაც სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მიერ გადადადებული კრედიტების ფარგლებში.

5. მიენდოს სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (ა/კსფსრ-ში) წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისართა საბჭოს განსახილველად „დებულება ამიერკავკასიის რწმუნებულისა და რესპუბლიკანური რწმუნებულების შესახებ“ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილების შესაბამისად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივნისის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

141. საგაზაფხულო თესვის ჩატარებისათვის სასოფლო საბჭოების მიერ წარმოებული მუშაობის შემოწმების შედეგებისა და მათივე შემდგომი ამოცანების შესახებ.

მოისმინა-რა საორგანიზაციო განყოფილების მოხსენება ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის გაშლისათვის სასოფლო საბჭოების მიერ წარმოებული მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის შედეგებისა და საბჭოების მიერ ჭირნახულის დამუშავებისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებისათვის განსახორციელებელი ამოცანების შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის უკეთესად გაშლისათვის სასოფლო საბჭოების მიერ წარმოებული მუშაობის შემმოწმებელმა ლაშქრობამ, რაც ჩატარებულ იქნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. მარტის 7-ის დადგენილების თანახმად, გავლენა იქონია ა/კსფსრ-ში 1932 წელს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებაზე, განსაკუთრებით აზერბაიჯანში.

მასსური ლაშქრობის შედეგები ძირითადად გამოიხატება:

ა) სასოფლო საბჭოებისა, მათი სექციებისა, დეპუტატთა ჯგუფებისა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირებისა, ბრიგადებისა და სხვ. მასსური მუშაობის გაცხოველებაში;

ბ) საგაზაფხულო თესვის გეგმების დამუშავებასა და სოფლამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე, საბჭოთა მეურნეობამდე, კომლამდე, ბრიგადამდე და აღმასრულებლამდე მიწვდენაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საგაზაფხულო თესვის ამოცანების გარშემო საბჭოთა აქტივის ფართო მობილიზაციაში;

დ) კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საქმისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენაში;

ე) შრომის სოციალისტური ფორმების (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვა მისთ.) ფართოდ გაშლასა და გამოყენებაში;

ვ) რაიონების უმეტესი ნაწილის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის საქმის რამოდენადმე ამოძრავებაში;

ზ) ადგილებისათვის თესლის გაწმენდის ხაზით დახმარების აღმოჩენაში.

ზემოხსენებულ წარმატებასთან ერთად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს შემდეგ ნაკლოვანებათ მასსური ლაშქრობის ჩატარებაში.:

ა) ლაშქრობის მნიშვნელობის შეუფასებლობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთ რაიონში (ქურდამირის, ქურდუკლის, აბარანის, სენაკის და სხვ.);

ბ) ლაშქრობაში ამიერკავკასიისა და რესპუბლიკების ზოგიერთი სახალხო კომისარიატის და ორგანიზაციის მიერ (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საკოლმეურნეო ცენტრი, პროფესიონალურ კავშირთა საბჭო და ალკკ) მონაწილეობის მიუღებლობა;

გ) ამიერკავკასიისა და საქართველოს და სომხეთის ცენტრალური პრესსის მიერ ლაშქრობის სუსტად გაშუქება;

დ) ადგილების მიერ ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა იგნორირება;

ე) არასაკმარისი ყურადღების მიქცევა სასოფლო საბჭოების მიერ კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ მშრომელი გლეხებისათვის თესვის დროს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის საკითხებისადმი;

ვ) თესვისათვის საჭირო კადრების (ტრაქტორისტები, ბრიგადირები და სხვ.) მომზადებისა და გარდამზადების საქმის არადამაკმაყოფილებლად დაყენება;

ზ) საწევი ძალის არასაკმარისად გამოყენება;

თ) ზოგიერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მიერ (ქურდამირი და სხვ.) თესვის გეგმის არამთლად შესრულება;

ი) ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დადებული სოცხელშეკრულების (ლაშქრობის უკეთესად ჩატარების შესახებ) სომხეთისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სუსტად შესრულება;

კ) გარე სამუშაოზე გეგმიანად გასვლის საკითხებში უორგანიზაციობა;

ლ) აგროტექნიკის არასაკმარისად შთანერგვა;

მ) კოლექტიურ მეურნეობებში შრომის სუსტი ორგანიზაცია.

აღნიშნავს-რა ზემოხსენებულ ნაკლოვანებათ მასსური ლაშქრობის ჩატარებაში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი,—ჭირნახულის დამუშავებისა და მოსავლის აღების წინამდგომარე კამპანიების რაც შეიძლება უკეთესად ჩატარების მიზნით,—ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს:

ა) ჩატარებული ლაშქრობის შედეგების საფუძველზე გააძლიერონ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა ჭირნახულის დამუშავება-მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიების პრაქტიკული ჩატარების ხაზით, რისთვისაც წინასწარ უნდა შეიმუშაონ კონკრეტული გეგმა ადგილებისათვის დახმარების გაწევისა მთლად ამ კამპანიების განმავლობაში;

ბ) იხმარონ ღონისძიებანი სექციებისა, საწარმოო თათბირებისა და დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გაცხოველებისათვის; ხელი შეუწყონ კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან დეპუტატთა ჯგუფების მოწყობას და უზრუნველჰყონ კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა ამ ქვედა ორგანიზაციების მუშაობისათვის;

გ) შემდგომი მუშაობა აწარმოონ იმ ბრძოლის ნიშანქვეშ, რაც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის რაოდენობითს და თვისებითს მხარეს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამუშავებას, მორწყვას, მარგვლას, კულტივაციას და სხვა მისთ.;

დ) მოახერხონ—რაც შეიძლება უკეთესად იქნეს დაყენებული კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა ჭირნახულის დამუშავების კამპანიის პერიოდში და ამასთან ერთად გამოიყენონ კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შინაგანი რესსურსები საზოგადოებრივი კვებისა, საბავშვო ბაგაებისა, საბავშვო ბაქნებისა, საბავშვო ბაღებისა და და სხვა მისთ. მოსაწყობად.

ე) განახორციელონ ღონისძიებანი ინდივიდუალური ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად ჭირნახულის დამუშავების და აღების კამპანიების ჩატარების საქმეში—როგორც საურთიერთო დახმარების მოწყობით ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეთა შორის, ისე მათთვის კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ დახმარების გაწევით;

ვ) უზრუნველჰყონ საქონლის საკვებთა ბაზისის მომზადება საწევი ძალისათვის; კერძოდ, მიაქციონ ყურადღება დასილოსების გეგმის აღსრულებას;

ზ) იხმარონ ღონისძიებანი სათანადო სას.-სამ. მანქანებისა, იარაღისა და ინვენტარის თავის დროზე რემონტის მოსახდენად და ჭირნახულის დამუშავება-აღების დროისათვის განსამზადებლად;

თ) რადგანაც ქალის შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბამბისა, ჩაისა, თამბაქოს და სხვა ტეხნიკური კულტურების დამუშავებისა და მოსავლის აღების საქმეში, იხმარონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რაათა ამ კულტურებისათვის საჭირო მუშაობაში ჩაბმულ იქნენ მშრომელი ქალები; თანაც მათ შორის უფრო აქტიურნი დააწინაურონ კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე დასანიშნად; ამასთანავე, ქალთა ფართო მასსებს უნდა განემარტოს აგროტეხნიკური ღონისძიებანი.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სსრ-ბის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—შეადგინონ თავის დროზე ოპერატიული გეგმა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სოფლის საბჭოებისათვის გასაწევი დახმარებისა ჭირნახულის დამუშავების და აღების კამპანიის ხაზით (ხილ-ბოსტნეულისა, პურეულისა, ბამბისა, ჩაისა, თამბაქოს და სხვა მისთ.)—ნარდობის გატარებისა და ნამუშევარის სწორე ნორმების დაწესების საფუძველზე და მოსავლის თავის დროზე და სრულიად აღების ლოზუნგზე დამყარებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ რაიონებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მუშა ძალის მოგროვებას იმ საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომელნიც საკმარისად უზრუნველყოფილ არ არიან მუშა-ძალით, რისთვისაც ფართოდ უნდა გაშალონ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის საამისო აღსნა-განმარტების მუშაობა. საჭირო შემთხვევაში შემოიღონ პრაქტიკად პასუხისმგებელ მომუშავეთა მიმაგრება მოგროვებულ მუშებზე.

სასტიკად უნდა ედევნოს თვალყური, რათა მუშა-ძალის მოგროვების დროს დაცულ იქნეს ნებაყოფლობის პრინციპი და შეფარდებულ არ იქნეს ზევიდან კომანდობა და ადმინისტრირება.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—ფართოდ გაშალონ, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების მეშვეობით, სოცშეჯიბრება და დამკვრელობა კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნერბებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, ცალკეულ ბრიგადებსა და მუშებს შორის ჭირნახულის დამუშავებისა და აღების კამპანიის რაც შეიძლება უკეთესად და თავის დროზე ჩატარებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—შეამოწმოს სექტემბრის 1-თვის ამა დადგენილების რეალიზაცია ადგილებზე და ჭირნახულის დამუშავებისა და აღების კამპანიის მსვლელობის შედეგები მოახსენოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

6. წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს და ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გამოჰყონ პრემიალური ფონდიდან სათანადო თანხა იმ ცალკეული რაიონებისა და სასოფლო საბჭოების დაპრემირებისათვის, რომელთაც თავი იჩინეს საგაზაფხულო თესვის მომზადების დროს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივნისის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

142. ა/კსფსრ სამრეწველო ქალაქების საბჭოების სექციებში სპეციალური სასტანდარტიზაციო ჯგუფების მოწყობის შესახებ.

რადგანაც სოციალისტური მეურნეობის პირობებში სტანდარტიზაცია საფუძველია მასსური წარმოების გაშლისათვის და უზრუნველჰყოფს პროდუქციის თვისების განსაზღვრულ დონეზე დაყენებას, თანაც ამცირებს თვითღირებულებას და აძლიერებს დანაკლისებთან ბრძოლას,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ისა, აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მოაწყონ სამრეწველო ქალაქების (ტფილისი, ბაქო, ერევანი, ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი, განჯა, ლენინაკანი და სხვ.) საბჭოების სექციებში (სამრეწველო, სავაჭრო-საკოოპერაციო, სასოფლო-სამეურნეო და მისთ.) სპეციალური ჯგუფები დამტკიცებული საერთო საკავშირო სტანდარტებისა, რესპუბლიკანური სასტანდარტო წესებისა და ტეხნიკური პირობებისა და ნორმების შთანერგვისათვის ბრძოლის საწარმოებლად.

2. სტანდარტიზაციისა და პროდუქციის თვისების გაუმჯობესებისათვის მომქმედი სპეციალური ჯგუფები მუშაობენ საქალაქო საბჭოების სათანადო სექციების ბიუროების უშუალო ხელმძღვანელობით და ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტისა და მისი რესპუბლიკანური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ინსტრუქციების მიხედვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივნისის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

143. ა/კსფსრ-ის მებამბეობის და საცდელი საქმის განვითარების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მებამბეობის სწავლული აგრონომის ამხ. პაულე პავლეს-ძე მედვედევის ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებისა და სიკვდილამდე პერსონალური პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ-ის მებამბეობის და საცდელი საქმის განვითარების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მებამბეობის სწავლული აგრონომი ამხ.

ჰავლი ჰავლეს ძე მედვედევი დაჯილდოებულ იქნეს ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით და დაევალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს უზრუნველჰყოს იგი ჰენსიით სიკვდილამდე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფეწდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივლისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

144. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის რეორგანიზაციისა და შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტი რეორგანიზებულ იქნეს და მისი ფუნქციები გადაეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს (ა/კ. სკს-თან).

2. კომიტეტის რწმუნებულის (ა/კ. სკს-თან) შტატი დამტკიცებულ იქნეს პასუხისმგებელი მდივნისა და აპარატში მყოფ 5 კაცის შედგენილობით.

3. მთლად ტეხნიკური მომსახურეობის გაწევა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულისათვის (ა/კ. სკს-თან) დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. სვანიძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივნისის 20.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

145. ამიერკავკასიის მეცხვარეობის ტრესტის რეორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა ა/კ. მეცხვარეობის ტრესტის ნაცვლად არსებობდეს საკავშირო შენაერთის „ოვცევოდ"-ის რწმუნებული (ა/კსფსრ-ში) და მოეწყოს საკავშირო მნიშვნელობის მეცხვარეობის ტრესტი აზერბაიჯანის სსრ-ში (ქ. ბაქოში), მისთვის ა/კ. მეცხვარეობის ტრესტის აპარატის გადაცემით, და საკავშირო მნიშვნელობის მეცხვარეობის ტრესტი სომხეთის სსრ-ში (ქ. ერივანში), რომელსაც ეყოლება აპარატი არა უმეტეს, ვიდრე 10 კაცისაგან შემდგარი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. სვანიძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივნისის 20.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

146. სოციალისტური მიწათმოქმედების დაფინანსების ბანკის ამიერკავკასიის კონტორის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა ქ. ტფილისში მოეწყოს სოციალისტური მიწათმოქმედების დაფინანსების ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორა და ამ კონტორის განყოფილებები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—ქალ. ტფილისსა, ბაქოსა და ერივანში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივნისის 27.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

147. სასოფლო-სამეურნეო მომზღვლევი მრეწველობის სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა სასოფლო-სამეურნეო მომზღვლევი მრეწველობის სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება გადაკეთდეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მომზღვლევი მრეწველობის საკავშირო მნიშვნელობის ტრესტად და იგი შევიდეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სკს-თან) სისტემაში სამთამადნო სექტორის ხაზით.

2. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—ჩაატაროს სასწრაფო ტემპით ა/კსფსრ-ში მომზღვლევ სამუშაოთა მმართველობის რეორგანიზაცია და იხმაროს ღონისძიებანი მომზღვლევი საქმის ტეხნიკური მეთოდების განვითარებისა და სახალხო მეურნეობის დარგების მომზღვლევი მუშაობით მაქსიმალურად მოცვისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივლისის 2.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

148. ა/კსფსრ-ში მებამბეობის ორგანიზაციების რეორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნეს; ამასთანავე მოეწყოს მებამბეობის სამმართველო ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და საკავშირო მნიშვნელობის მებამბეობის კომიტეტები აზერბაიჯანის სსრ-ში, საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან.

2. ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის იმ აპარატის ძირითადი ნაწილი, რომელიც ბაქოში მუშაობს, გადაეცეს აზერბაიჯანის მებამბეობის კომიტეტს.

3. სამბამბე საბჭოთა მეურნეობების ამიერკავკასიის ტრესტი რეორგანიზებულ იქნეს და შეიქმნას აზერბაიჯანის საბამბე საბჭოთა მეურნეობების საკავშირო მნიშვნელობის ტრესტი („აზსოვხოზხლოპოკ“) სამყოფელი ადგილით ქ. ბაქოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს და სომხეთის საბამბე საბჭოთა მეურნეობები დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს მებამბეობის კომიტეტს და სომხეთის მებამბეობის კომიტეტს, რომლებიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან იმყოფებიან.

4. დაეკისროს მებამბეობის კომიტეტებს ხელმძღვანელობის გაწევა საბამბე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, საბამბე საბჭოთა მეურნეობებისა, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა და საბამბე ტეხნიკუმებისათვის. მებამბეობის კომიტეტებს ეკისრებათ აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სექტორების ფუნქციები მებამბეობის დაგეგმვისა და მოწესრიგების ყველა საკითხში და თანაც წყალსარგებლობის გეგმების დამტკიცება და რწყვის ნორმების დაწესება.

5. ამიერკავკასიის მებამბეობის სასწავლო ინსტიტუტი გადაიცეს აზერბაიჯანის მებამბეობის კომიტეტის გამგებლობაში და დაეკისროს ა/კ. მებამბეობის ინსტიტუტს გაუწიოს მომსახურეობა სომხეთისა და საქართველოს საჭიროებათ კადრების ხაზით.

6. ამიერკავკასიის მებამბეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი გადაიცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული მებამბეობის სამმართველოს გამგებლობაში.

7. ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული მებამბეობის სამმართველოს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან არსებული მებამბეობის კომიტეტების შესანახი ხარჯი მიეკუთვნოს იმ სახსარს, რაც გათვალისწინებულია ბამბის კალკულაციით ა/კ. მებამბეობის კომიტეტის აპარატის შესანახად.

8. ამიერკავკასიის მებამბეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნოს ამხ. მამიკონიანი.

9. მებამბეობის ორგანოების რეორგანიზაციისათვის საჭირო მთელი მუშაობის ჩატარება დაეკისროს კომისიას შემდეგი შედგენილობით: ამხ. ტოლსტოპიატოვი (თავმჯდომარე), ასრიბეკოვი, ვეზიროვი, მამიკონიანი, ყასუმოვი, გაბუნია, ადოიანი, ოვანესიანი, მათიკაშვილი, იაგნეტინსკი და ზადრა.

მიენდოს ამ კომისიას—შეიმუშაოს ახალი ორგანიზაციების სტრუქტურა და შტატი და დაფინანსების წესი; აგრეთვე მოახდინოს ა/კ. მებამბეობის შენაერთის ქონებისა და სახსარის გაყოფა და მომუშავეთა განაწილება.

ამავე კომისიას მიენდოს „ზაგოტხლოპოკ"-ის ორგანოების საბოლოო გაფორმებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

10. რეორგანიზაციის ყველა სამუშაოს დამთავრებისა და ახალი ორგანოების საბოლოო გაფორმების ვადად დანიშნულ იქნეს აგვისტოს 1-ლი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. სვანიძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივლისის 20.
№ 489.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 172 №-ში 1932 წ. ივლისის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

149. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1932 წლის ოქტომბერში კომუნალურ საწარმოთა და საქალაქო კეთილმოწყობის აღწერის ჩატარების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 19 ის დადგენილების შესაბამისად 1932 წლის ოქტომბრის განმავლობაში ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჩატარებულ იქნეს კომუნალურ საწარმოთა და საქალაქო კეთილმოწყობის აღწერა.

2. აღწერამ უნდა მოიცვას საქალაქო მეურნეობის შემდეგი ელემენტები:

ა) წყლის მიწოდება (წყალსადენი და სხვა წყალმიმწოდებელი ნაგებობა);

ბ) კანალიზაციის გაწმენდა, საასენიზაციო ქარავნები და სხვ.;

გ) კომუნალური ელექტრომიწოდება;

დ) გაზოფიკაცია;

ე) თბოფიკაცია;

ვ) კომუნალური მეურნეობის საქალაქო, სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტი (ტრამვაი, ავტობუსები, ტაქსები), აგრეთვე საავტოსატვირთო ტრანსპორტი, სამდინარეო ტრანსპორტი, ჭაპანზიდვის ტრანსპორტის ქარავნები);

ზ) აბანოები;

თ) სამრეცხველოები;

ი) საქალაქო საგზაო-საქვაფენილო მეურნეობა;

კ) ქუჩების განათება;

ლ) ქალაქის მიწები და ქალაქების დაგეგმვა;

მ) სახანძრო დაცვის ორგანიზაცია;

ნ) ქალაქების მწვანე ნარგავები;

ო) სასტუმროები, გლეხთა სახლები;

პ) კომუნალური მეურნეობის დამხმარე საწარმონი;

ჟ) კომუნალური მეურნეობის ახლად საშენი საწარმონი.

3. აღწერილ უნდა იქნეს ყველა ზემოდ დასახელებული საწარმოს ის ნაწილი, რაც მომსახურეობას უწევს კომუნალურ მეურნეობას და უწყებული დასახლებული პუნქტის მშრომელთ, იმისდამიუხედავად, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის საწარმო.

4. აღწერა ჩატარებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ყველა ქალაქსა, მუშათა დაბასა და სარიონო ცენტრში.

5. აღწერის მოწყობა და წარმოება ეკისრება ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამრთველოს და მის რესპუბლიკანურ ორგანოებს, კომუნალური მეურნეობის ორგანოების მონაწილეობით.

6. აღწერის რაც შეიძლება წარმატებით ჩასატარებლად წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ სათანადო დადგენილებანი და დაავალონ:

ა) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს და ყველა სხვა უწყებას, რომლის გამგებლობაშიაც კომუნალური დანიშნულების საწარმონია, ჩაატარონ აღწერისათვის მოსამზადებელი მუშაობა საანგარიშო ცნობების მოსაწესრიგებლად, ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვისა და კომუნალური მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელობით და კონტროლით;

ბ) საქალაქო და სარაიონო საბჭოებს—იხმარონ ღონისძიებანი აღწერის სამუშაოთა ჩატარებისათვის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუშაოსი, და შექმნან ისეთი პირობები, რომ ეს სამუშაო შესრულებულ იქნეს დადგენილ ვადაზე;

გ) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს და სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა გამგებლობაშიაც კომუნალური დანიშნულების საწარმონია და გარეგანი საქალაქო კეთილმოწყობის ელემენტები (მწვანე ნარგავები, ქუჩების განათება, საგზაო-საქვაფენილო მეურნეობა და სხვა მისთ.), წარადგინონ, რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოების მიერ დადგენილ ვადაზე და ფორმით, როგორც კომუნალური დანიშნულების საწარმოთა, ისე გარეგანი საქალაქო კეთილმოწყობის ელემენტების ამომწურავი სიები.

7. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს, ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოსცეს, სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს დირექტივების საფუძველზე, აღწერასთან დაკავშირებული ყველა უწყებისა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო ინსტრუქცია აღწერისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისა და თვით აღწერის წარმოების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. სვანიძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივლისის 20.
№ 491.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

150. სამუშაო ხელფასის ფონდების აღნუსხვისა და დაგეგმვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის თებერვლის 16 ის დადგენილება და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის ნოემბრის 17-ისა და 1932 წლის იანვრის 11-ის დადგენილებანი—სამუშაო ხელფასის საგეგმო ფონდების დაწესებისა

და ამ ფონდების ხარჯვისათვის კონტროლის გაწევის შესახებ—აღსრულებული არ არის:

ა) აქამდე არა ყველა საწარმო და დაწესებულება, რაც უწყებებს ექვემდებარება, მოცული არ არის სამუშაო ხელფასის ფონდების დაგეგმვით;

კერძოდ—სრულიად არ იგეგმება და არ ინუსხვება უწყებების მიერ სამუშაო ხელფასის ფონდები: კაპიტალური მშენებლობისა და დამმზადებელი, საგაჭრო და სამმართველო აპარატის ხაზით; სუსტად არის დაყენებული სამუშაო ხელფასის ფონდების აღნუსხვა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და სხვა მისთ. ხაზით;

ბ) უწყებებში სისრულით და თანაბრად არ არის მოცული მომუშავეთა ყველა კატეგორიის სამუშაო ხელფასის საგეგმო ფონდები და ხარჯების ყველა მუხლი;

გ) უწყებები და შენაერთები თავის დროზე ან სულ არ აწვდიან სამუშაო ხელფასის კვარტალურ ფონდებს ყველა საწარმოს და დაწესებულებას, ხოლო ეს უკანასკნელნი დამტკიცებულ ფონდებს არ აწვდიან სახელმწიფო ბანკის ფილიალებს;

დ) უწყებებში არ არსებობს რამოდენადმე სრული და დარგობრივ დიფერენცირებული ანგარიშგება გადახდილი სამუშაო ხელფასის თანხების შესახებ.

აღნიშნული დეფექტების ასაცილებლად და „სამუშაო ხელფასის ფონდების დაგეგმვისა და აღნუსხვის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წლის ივლისის 6-ის თარიღისა და 648 №-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

1. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა უწყებას და ორგანიზაციას—დააწესოს მიმდინარე პერიოდული ანგარიშგება მომუშავეთა რიცხვისა და სამუშაო ხელფასის ფონდების შესახებ ყველა მისი ქვემდებარე საწარმოს და დაწესებულების სისტემის ხაზით. სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოთა და საბჭოთა მეურნეობების ანგარიშგება შეიდგინება ყოველთვე; სხვა დარგების ანგარიშგება—კვარტალობით. ანგარიშგება მოიცვავს საწარმოთა და დაწესებულებათა მთელ პერსონალს; ამასთანავე, სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ანგარიშგება დანაწილებულ უნდა იქნეს მომუშავეთა ჯგუფებზე (მუშები, მოსამსახურეები, საინჟენერო-სატეხნიკო პერსონალი, მომსახურეობის გამწევი უმცროსი პერსონალი და შეგირდები). სხვა საწარმოთა და სხვა დარგების დაწესებულებათა ანგარიშგება შედგენილ უნდა იქნეს მთელს პერსონალზე ერთიანად.

2. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა სახალხო კომისარიატს და მათთან გათანაბრებულ უწყებებს—უზრუნველჰყონ პერიოდული (ქვემოდ აღნიშნულ ვადებზე) შეჯუმლება სრული ცნობებისა მომუშავეთა რიცხვის და სამუშაო ხელფასის ფონდების შესახებ და ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებისათვის წარდგენა.

3. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა უწყებას და ორგანიზაციას, უწყებათა და შენაერთთა ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ წარდგენა, არა უგვიანეს 40 დღისა საანგარიშო კვარტალის გასვლის შემდეგ,

ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებში მთელი უწყების ჯუმლისა ერთიანად რესპუბლიკანური მასშტაბის მიხედვით (ჯგუფებად დანაწილებით 1 და 7 მუხლების შესაბამისად).

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული წესი შემოღებულ იქნეს მიმდინარე წლის მე-3 კვარტალიდან; ამასთანავე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს 1932 წლის 1-ლი და მე-2 კვარტალის ჯუმლების მიღება.

შენიშვნა 2. შენაერთების ჯუმლები შეიდგინება აგრეთვე სადარგო ხაზითაც სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს სპეციალური ინსტრუქციით დადგენილი დარგთა ერთიანი ნომენკლატურის თანახმად.

4. წინადადება მიეცეს ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს—დაადგინოს ა/კ. უწყებებებისა და ორგანიზაციების მიერ ა/კ. სახალხო სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებში ჯუმლების წარდგენის წესი.

5. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა უწყებას და ორგანიზაციას—სამუშაო ხელფასის დასაგეგმავ ფონდებში და სამუშაო ხელფასის გაღების ანგარიშგებაში საგასავლო მუხლების განკუთვნის დროს იხელმძღვანელოს სამუშაო ხელფასის საგასავლო მუხლების ერთიანი ნომენკლატურა სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ გამოცემული სპეციალური ინსტ-

ᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

6. დაევალოს ყველა საწარმოს და შენაერთს—სამუშაო ხელფასის მისაღებად სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ა/კ. სამხარეო კონტორაში და მის ფილიალებში წარსადგენ ფულის გადახდის დოკუმენტებში მოათავსოს ყველა ის ხარჯი, რაც სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციით მიკუთვნებულია სამუშაო ხელფასის ფონდებისათვის.

7. დაევალოს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ა/კ. სამხარეო კონტორას—დაადგინოს გადახდილი სამუშაო ხელფასის ფონდების რეგულიარული ოპერატიული აღნუსხვა და გასწმინდოს თავის აღნუსხვაში მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასი ყველა სხვა ხარჯისაგან (პენსია, შინამრეწველთა სასყიდელი, სტიპენდია და სხვ.), რისთვისაც იხელმძღვანელოს სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქცია „ანგარიშგებაში მოსათავსებელი სამუშაო ხელფასის ფონდისა და 1932 წლისთვის დასაგეგმი ფონდის შედგენილობის შესახებ“.

8. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა უწყებას და ორგანიზაციას, რომელსაც საერთო-საკავშირო ცენტრი არა აქვს,—ანგარიშგების ფორმებისა და მსვლელობის წესის დადგენის დროს იხელმძღვანელოს ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ორგანოების სპეციალური ინსტრუქციები.

9. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა უწყებას და ორგანიზაციას—წარადგინოს ორი დეკადის ვადაზე ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში 1932 წლის მე-2 ნახევარწლის სამუშაო ხელფასის გაზუსტებული საგეგმო ფონდი (კვარტალებზე დაყოფით) მისი ქვემდებარე ყველა დაწესებულებისა და საწარმოსათვის (წარმოებითი, მომსახურეობითი, სამმართველოებითი და სხვ.) და უზრუნველჰყოს შემდგომში სამუშაო ხელფასის საგეგმო ფონდების მიწოდება საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთათვის საერთო კვარტალური სამრეწველო-საფინანსო გეგმის მიწოდებასთან ერთად.

შენიშვნა 1. სახელმწიფო ბანკში კვარტალის პირველი თვის საკასსო გეგმების წარდგენის დროს, უკეთუ საწარმოს და დაწესებულებას მიღებული არა აქვს დამტკიცებული საგეგმო ფონდები, საკასსო გეგმებში აღსანიშნი სამუშაო ხელფასის ხარჯები გამოანგარიშებულ უნდა იქნეს საწარმოს და დაწესებულების პროექტირებათა საფუძველზე.

შენიშვნა 2. კვარტალის მეორე და მესამე თვის სამუშაო ხელფასის ხარჯები შეტანილ უნდა იქნეს საკასსო გეგმაში უწყებისა და შენაერთის მიერ თვითეული საწარმოსა და დაწესებულებისათვის მიწვდილი საგეგმო ფონდების შესაბამისად.

10. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა უწყებას და ორგანიზაციას—სამუშაო ხელფასის საგეგმო ფონდების საწარმოთა და დაწესებულებათათვის მიწოდებასთან ერთად ამ საგეგმო ფონდების ასლები წარუდგინოს სახელმწიფო ბანკის სათანადო ფილიალს—საწარმოს (დაწესებულების) სამყოფელი ადგილის მიხედვით.

11. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ ამა დადგენილების საფუძველზე დადგენილებანი რესპუბლიკანური უწყებებისა და ორგანიზაციების სამუშაო ხელფასის ფონდების აღნუსხვისა და დაგეგმვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. სვანიძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივლისის 28.
№ 490.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა"-ს 176 №-ში 1932 წ. ივლისის 30-ს.

მთავლიტი 2130. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა დაკვ. 1256 ტირაჟი 1.400.